

950



საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ბრძანებითა
და განაკვეთლებათა

პრეზუმი

წელიწადი მეცამეტე

№ 1	Сборник приказов и распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР	1950 წ.
-----	---	---------

შ ი ნ ა ა რ ს ი

	83.
ინტრუქცია—სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩატარების შესახებ	3
ინტრუქცია—სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ექსტერნად ჩაბარების შესახებ	22
Инструкция—о проведении экзаменов на аттестат зрелости	27
Инструкция—о проведении экзаменов на аттестат зрелости для экстернов	46

პ/მგ. რედაქტორი მ. ბურჭულაძე

პ/მგ. გამომგებისათვის ვ. კვიციანი

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს მიერ
1950 წლის 7/II.

ინსტრუქცია

სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩატარების შესახებ

1. ზოგადი დებულებანი

§ 1.

სიმწიფის ატესტატზე გამოცდები ტარდება დაწყებით, შვიდ-წლიან და საშუალო სკოლებში გადასაყვანი, გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატზე გამოცდების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1950 წლის 21 თებერვალს დამტკიცებული დებულების საფუძველზე. გამოცდების მიზანია გამოარკვიოს, რამდენად სრულად და მტკიცედ არიან დაუფლებულნი მოსწავლენი საშუალო სკოლის კურსს.

§ 2.

სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩასაბარებლად დაიშვებიან:

ა) მე-11 კლასის მოსწავლენი, რომელთაც ყოფაქცევაში აქვთ ნიშანი „5“ და ყველა სასწავლო საგანში წლიური ნიშანი არანაკლებ „3“-სა, მიუხედავად ნიშნებისა ხაზვასა, ხატვასა, სიმღერასა, [redacted] და ფიზიკურ მომზადებაში;

ბ) 18 წელზე მეტი ასაკის მქონე ის პირნი, რომელთაც საშუალო სკოლაში არ უსწავლიათ, ან უსწავლიათ, მაგრამ იგი არ დაუმთავრებიათ და სურთ ექსტერნატის წესით მიიღონ სიმწიფის ატესტატი.

შენიშვნა: ა) საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს უფლება ეძლევა ანგარიშგასაწევ გამოჩაყლის შემთხვევაში სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩასაბარებლად დაუშვას მოსწავლე, რომელსაც სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ერთ

ან ორ ძირითად საგანში აქვს „3“-ზე ნაკლები ნიშანი, ხოლო ყოფაქცევაში აქვს „5“; იმ საგნებში, რომელშიაც მოსწავლეს „3“-ზე დაბალი ნიშანი აქვს, იგი გამოცდებს შემოდგომაზე აბარებს;

ბ) წლიური ნიშნის გამოყვანის წესის შესახებ იხილეთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებანი — „დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის მოსწავლეთა ცოდნისა და ყოფაქცევის შეფასებისას ხუთბალიანი ციფრობრივი სისტემის გამოყენების შესახებ“ (1950 წლის გამოცემა);

გ) სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ექსტერნად ჩაბარება წარმოებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საგანგებო ინსტრუქციის საფუძველზე.

§ 3.

სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე არ დაიშვებიან:

ა) ის მოსწავლენი, რომელთაც სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ორზე მეტ ძირითად საგანში აქვთ „3“-ზე ნაკლები ნიშანი;

ბ) აგრეთვე ის მოსწავლენი, რომელთაც „3“-ზე ნაკლები ნიშანი აქვთ ერთს ან ორ ძირითად საგანში, მაგრამ მათი დაბალი მოსწრება ამ საგნებში გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით.

თუ მოსწავლის ჩამორჩენის მიზეზი მძიმე ან ხანგრძლივი ავადმყოფობაა, აღნიშნული დადასტურებული უნდა იქნეს სათანადო სამკურნალო დაწესებულების მიერ გაცემული ოფიციალური ცნობით.

§ 4.

მე-11 კლასებში სასწავლო მეცადინეობა მთავრდება 15 მაისს.. 15 და 16 მაისს პედაგოგიური საბჭო იხილავს და ამტკიცებს მე-11 კლასის თითოეული მოსწავლის წარმატებისა და ყოფაქცევის წლიური ნიშნებს და წყვეტს სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩასაბარებლად მოსწავლეთა დაშვების საკითხს.

პედაგოგიური საბჭოს დადგენილება უნდა გაფორმდეს სათანადო ოქმით, ამასთან გადაწყვეტილება, რომ მოსწავლე დაშვებული არ არის გამოცდებზე, უნდა დასაბუთდეს.

გამოცდებზე დაშვებულთა სიას მოსწავლეები გაცნობილი უნდა იქნენ არა უგვიანეს 17 მაისისა.

§ 5.

მოსწავლეები, რომელნიც საშუალო სკოლას ამთავრებენ, სიმწიფის ატესტატზე გამოცდებს აბარებენ საშუალო სკოლის სრულჯურსის მოცულობით შემდეგ საგნებში:



1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერიითი—თბზულება);
2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი);
3. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერიითი);
4. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი);
5. ალგებრაში (ზეპირი);
6. გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში (წერიითი);
7. გეომეტრიაში (ზეპირი);
8. ფიზიკაში (ზეპირი);
9. ქიმიაში (ზეპირი);
10. სსრ კავშირის ისტორიაში—IX—XI კლ. კურსის მიხედვით (ზეპირი);
11. უცხო ენაში (ზეპირი).

შენიშვნა: სომხური და აზერბაიჯანული საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლენი § 5-ით გათვალისწინებულ ყველა საგანს გარდა გამოცდას აბარებენ დედაენასა და ლიტერატურაში (წერიითი და ზეპირი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში კი ისინი მხოლოდ ზეპირ გამოცდას აბარებენ.

რუსული სკოლების XI კლასის მოსწავლენი ქართულ ენასა და ლიტერატურაში მხოლოდ ზეპირ გამოცდას აბარებენ.

II. საგამოცდო კომისიის შემადგენლობა

§ 6.

სიმწიფის ატესტატზე გამოცდებს ატარებს საგამოცდო კომისია შემდეგი შემადგენლობით: სკოლის დირექტორი (კომისიის თავმჯდომარე), საგნის მასწავლებელი, კომისიის 2—3 წევრი იმავე ან მონათესავე საგნის უფროსი კლასების ან უმაღლესი სკოლის მასწავლებელთაგან და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ან შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების წარმომადგენელი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ან შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას შეუძლიათ თავიანთ წარმომადგენლებად დანიშნონ კომპეტენტური პირები სახალხო განათლების განყოფილების მუშაკთა შემადგენლობიდან, პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტების, მასწავ-

ლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და პედაგოგიური სასწავლებლების მეცნიერ თანამშრომელთა და მასწავლებელთაგან.

საგამოცდო კომისიათა შემადგენლობას ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის საშუალო სკოლებისათვის ამტკიცებს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო და ოლქის განათლების განყოფილება, საქართველოს სსრ სხვა დანარჩენი სკოლებისათვის კი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, გამოცდების დაწყებამდე ერთი თვით ადრე.

საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში შეყვანილი უნდა იქნენ ის პირნი, რომელთაც აქვთ დასრულებული უმაღლესი განათლება; საგამოცდო კომისიებში შეიძლება აგრეთვე იმ მასწავლებელთა შეყვანა, რომელთაც არა აქვთ დასრულებული უმაღლესი განათლება, მაგრამ მინიჭებული აქვთ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება ან საშუალო სკოლის მასწავლებლის პერსონალური წოდება ატესტაციის საფუძველზე.

შენიშვნა: 1) ცალკე შეთხვევებში ამ წესიდან გამონაკლისის დაშვების უფლება აქვს საქართველოს სსრ განათლების მინისტრს.

2) რუსულ ენასა და ლიტერატურაში არარუსულ სკოლაში, აგრეთვე უცხო ენაში ყველა საშუალო სკოლაში გამოცდები შეიძლება ჩატარონ იმ მასწავლებლებმაც, რომელთაც არ აქვთ უმაღლესი განათლება და პერსონალური წოდება.

§ 7.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ან შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების წარმომადგენელი, სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩატარების შესახებ არსებული დებულების და ინსტრუქციის დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულია შეაჩეროს გამოცდა და აცნობოს ამის შესახებ საქართველოს სსრ განათლების მინისტრს, ან შესაბამისად — აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგეს სათანადო ზომების მისაღებად.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების წარმომადგენლები ინიშნებიან ერთი თვით ადრე გამოცდების დაწყებამდე.

შენიშვნა: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების წარმომადგენლად არ შეიძლება დაინიშნოს ამავე სკოლაში მომუშავე პირი.

§ 8.

სიმწიფის ატესტატზე გამოცდების აღვილზე ჩატარების მიზნით, იმ საშუალო სკოლებისათვის, რომლებშიაც საგამოცდო კომისიის შედგენისათვის არ არსებობს § 6-ით გათვალისწინებული პირობები, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილება უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებელთაგან ქმნიან საგამოცდო კომისიებს.

შენიშვნა: ა) საშუალო სკოლები, რომელთაც გამოსაშვებ კლასში 15-ზე ნაკლები მოსწავლე ჰყავთ და ამავე დროს არ შეუძლიათ § 6-ის მიხედვით საგამოცდო კომისიის შექმნა, — მოსწავლეებს სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩასაბარებლად გზავნიან იმ სკოლებში, რომლებსაც მათ მიუთითებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილება.

ბ) საშუალო სკოლის მასწავლებლები, რომელთაც უმაღლესი განათლება აქვთ და რომელთა მოსწავლეები გამოცდას სიმწიფის ატესტატზე სხვა სკოლაში აბარებენ იმის გამო, რომ აღვილობრივ კომისიის შედგენა არ ხერხდება, შეყვანილ უნდა იქნენ საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში.

III. გამოცდების ჩატარების წესი

§ 9.

სიმწიფის ატესტატზე გამოცდები წელიწადში ერთხელ ტარდება — სასწავლო მეცადინეობის დამთავრების შემდეგ, 20 მაისიდან 20 ივნისამდე, ხოლო საშემოდგომო გამოცდები — 20-დან 25 აგვისტომდე ჩათვლით.

შენიშვნა. 1. საშემოდგომო გამოცდას სიმწიფის ატესტატზე XI კლასის მოსწავლე აბარებს იმავე კომისიას, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩატარებლად.

საშემოდგომო გამოცდები ტარდება სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩატარების არსებულ ყველა წესის დაცვით.

2. წელს საშემოდგომო წერიტი გამოცდები ტარდება:

ა) მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში—21 აგვისტოს;

ბ) გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში—23 აგვისტოს;

გ) რუსულ ენასა და ლიტერატურაში—25 აგვისტოს.

3. საშემოდგომო წერიტი გამოცდებისათვის თემები აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სამინისტროებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებებს ეგზავნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

§ 10.

გამოცდების ცხრილი, დამტკიცებული საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის მიერ, გამოკრულ უნდა იქნეს სკოლაში 10 დღით ადრე გამოცდების დაწყებამდე.

პირველი გამოცდა—(წერიტი) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (არაქართულ სკოლებში—მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში) 20 მაისს ტარდება. დანარჩენ საგნებში წელს წერიტი გამოცდები ჩატარდება: გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში—27 მაისს, რუსულ ენასა და ლიტერატურაში (არარუსული სკოლები)—5 ივნისს.

ზეპირი გამოცდები იმავე საგანში ჩატარებულ წერიტ გამოცდებს მოსდევს. ამასთან, შუალედი წერიტისა და ზეპირ გამოცდებს შორის უნდა იყოს არა ნაკლებ ორი დღისა, რათა კომისიის ყველა წევრს შეეძლოს წერიტი ნამუშევრების გულდასმით შემოწმება.

§ 11.

შემდგომ გამოცდებზე აღარ დაიშვებიან მოსწავლენი:

ა) რომელნიც გამოცდებზე მიიღებენ „3“-ზე ნაკლებ შეფასებას ორზე მეტ საგანში;

ბ) რომელთაც ერთ საგანში ჰქონდათ არადამაკმაყოფილებელი შეფასება, მაგრამ გამოცდების პროცესში კიდევ ორ საგანში მიიღეს „3“-ზე ნაკლები შეფასება;

გ) რომელთაც ორ საგანში ჰქონდათ არაღამაკმაყოფილებელი შეფასება, დაშვებულნი იყვნენ გამოცდებზე, მაგრამ გამოცდის პროცესში კიდევ ერთ საგანში მიიღეს „3“-ზე ნაკლები შეფასება.

IV. წერიტი გამოცდები

§ 12.

წერიტი გამოცდები ტარდება შემდეგი სახით:

ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (არაქართულ სკოლებში კი მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში) მოსწავლეებს ეძლევათ თემა თხზულების დასაწერად გავლილი ლიტერატურული მასალიდან, აგრეთვე შეიძლება მიეცეთ განყენებული თემა(კ).

ბ) რუსულ ენასა და ლიტერატურაში (არარუსული სკოლები) მოთხრობის შინაარსის გადმოცემა (მასწავლებლის მიერ კლასში მოთხრობის წინასწარ წაკითხვის შემდეგ);

გ) გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში—ერთი გეომეტრიული ამოცანა, რომელიც ამოიხსნება ალგებრისა და ტრიგონომეტრიის გამოყენებით და ერთი მაგალითი ტრიგონომეტრიიდან.

შენიშვნა: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (არაქართულ სკოლებში კი მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში) მოსწავლეებს ეძლევათ სამი თემა, რომელთაგან მოსწავლემ ერთ-ერთი უნდა აირჩიოს;

2. ამოცანა და მაგალითი გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში ერთ ვარიანტად დგება და საერთოა ყველა მოსწავლისათვის;

3. წერიტი სამუშაოს შესასრულებლად, იმ დროის ჩათვლით, რაც საჭიროა მათი სუფთად გადაწერისათვის, მოსწავლეებს თანმიყოლებით ეძლევათ 5 ასტრონომიული საათი მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, 4 ასტრონომიული საათი გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში და რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

§ 13.

საგამოცდო თემებს თხზულებისათვის მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში (არარუსული სკოლები), ამოცანასა და მაგალითს გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში აღგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. საგამოცდო თემები, ამოცანა და მაგალითი თავსდება პატარა კონვერტებში და ილუქება. კონვერტზე აღინიშნება გამოცდის ჩატარების თარიღი. ასეთი პაკეტები, საშუალო სკოლების რაოდენობის მი-

ხედვით, თავსდება ქალაქისათვის (რაიონისათვის) განყოფილებილ დიდ კონვერტში, რომელიც 1—5 მაისს სპეციალური ფოსტით ეგზავნება აჭარისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრებს, ოლქის, ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებს.

დიდ პაკეტს, განათლების განყოფილების გამგესთან ერთად, ხსნის რაიონზე (ქალაქზე) მიმავრებული განათლების სამინისტროს წარმომადგენელი, ქალაქებში—გამოცდისათვის დაწესებულ დღეს, ხოლო რაიონში—არა უადრეს წინა დღისა. დიდი პაკეტის გახსნისას დგება სათანადო აქტი, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარმომადგენელი (ქალაქში, რაიონში) და განათლების განყოფილების გამგე.

შენიშვნა: ა) აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრები, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქ. თბილისის განათლების განყოფილებათა გამგეები დიდ პაკეტებს მიღებისთანავე ხსნიან და მასში მოთავსებულ პატარა პაკეტებს ანაწილებენ საშუალო სკოლების რაოდენობის მიხედვით, ათავსებენ დიდ კონვერტებში და სპეციალური ფოსტით უგზავნიან ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს.

პატარა პაკეტი, რომელშიც მოთავსებულია საგამოცდო თემა, სათანადო ხელწერილით ბარდება საშუალო სკოლაზე მიმავრებულ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარმომადგენელს სკოლებისათვის გადასაცემად, ქალაქად—გამოცდის დღეს, ხოლო სოფლის სკოლებისათვის—წინა დღეს.

პატარა პაკეტს ხსნის საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრთა თანდასწრებით, გამოცდისათვის დაწესებულ დღეს, გამოცდის დაწყებამდე 10 წუთით ადრე. პაკეტის გახსნის შესახებ სათანადო ცნობები შეიტანება გამოცდების ოქმში.

§ 14.

წერილით გამოცდებისათვის გამოყოფილი უნდა იქნეს სკოლის დარბაზი ან ყველაზე უფრო დიდი საკლასო ოთახი. მოსწავლენი ერთიმეორისაგან განცალკევებით დადგმულ მაგიდებზე ან მერხებზე სხდებიან, თითო მაგიდასთან ან მერხზე—თითო მოსწავლე.

იმ შემთხვევაში, როდესაც გამოცდაზე დაშვებული მოსწავლეების რიცხვი დიდია, წერილით სამუშაოსათვის გამოყოფილი უნდა იქნეს 2 ან 3 ოთახი, ამასთან მოსწავლენი საგამოცდო კომისიის წევრთა განუწყვეტელი ზედამხედველობის ქვეშ უნდა იყვნენ.

წერიტი ნამუშევრების შესრულება მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში და გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში ხდება სპეციალურ ქალაქებში, რომელსაც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროდან ლეზულობს პირადად რაიონის, ქალაქის, განათლების განყოფილების გამგე ან ინსპექტორი განათლების განყოფილების გამგის მინდობილობით, 1—10 მისამდე. საგამოცდო სპეციალური ქალაქი, დალუქულ პაკეტთან ერთად, ხელწერილით ბარდება სკოლაზე მიმავრებულ განათლების სამინისტროს წარმომადგენელს საჭირო რაოდენობით, ქალაქად გამოცდის დღეს, ხოლო სოფლად—არაუადრეს გამოცდის წინაღობისა.

შენიშვნა: აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრები, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქალთბილისის განათლების განყოფილებათა გამგეები 1—5 მისამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროდან ლეზულობენ სპეციალურ საწერ ქალაქს და თვლით, საჭირო რაოდენობით, ხელწერილით აბარებენ სათანადო განათლების განყოფილების გამგეებს.

§ 16.

მოსწავლეებს არ აქვთ უფლება გამოცდაზე იქონიონ რაიმე სასწავლო ნივთი ან წიგნი, გარდა ლოგარითმების ცხრილისა იმ დღეს, როდესაც უნდა ჩატარდეს წერიტი გამოცდა გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში.

საწერ-კალამსა და ქალაქს ყველა გამოსაცდელს სკოლა აძლევს. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში (არარუსულ სკოლებში) და გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში წერიტი სამუშაო შეიძლება თავდაპირველად შავად შესრულდეს, გარკვეული ხელით და აუცილებლად მეღნიით. შავად ნაწერი სუფთად გადაწერილ ნამუშევრებთან უნდა იქნეს წარმოდგენილი.

განათლების სამინისტროს წარმომადგენელი ნამუშევრის ჩაბარებისას მასზე აღნიშნავს მიღების დროს და აწერს ხელს ბოლოში.

მოსწავლე შესრულებული სამუშაოს ჩაბარებისთანავე გადის საგამოცდო ოთახიდან. მოსწავლენი, რომელნიც ვერ დაამთავრებენ სამუშაოს დაწესებულ დროში, კომისიას აბარებენ დაშმთავრებელ ნამუშევარს.

ყველა მოსწავლის საგამოცდო წერიითი ნამუშევარი, როგორც თეთრი, ისე შავად შესრულებული, სწორდება სკოლაში საგნის მასწავლებლის მიერ, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარესთან, სკოლაზე მიმაგრებულ განათლების სამინისტროს წარმომადგენელთან და ასისტენტებთან ერთად, და როგორც გადათეთრებული, ისე შავად შესრულებული ნამუშევარი, სიით და თვლით, გამოუყენებელ ქალაქთან ერთად, სკოლაზე მიმაგრებულ განათლების სამინისტროს წარმომადგენლის მეშვეობით მთლიანად ბარდება რაიონზე მიმაგრებულ განათლების სამინისტროს წარმომადგენელს და განათლების განყოფილების გამგეს, ამ საგანში ზეპირი გამოცდის ჩატარების წინა დღით.

ოქროსა და ვერცხლის მედალოსნობის კანდიდატებად წამოყენებულ მოსწავლეთა წერიითი ნამუშევრები იგზავნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში, ხოლო დანარჩენი კი ანალიზისათვის და სათანადო დასკვნების გასაკეთებლად რჩება განათლების განყოფილებაში. განათლების განყოფილება ვალდებულია ერთი წლის შემდეგ გამოითხოვოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროდან მედლით დასაჯილდოებლად წარდგენილ კურსდამთავრებულთა ნამუშევრები და ყველა სხვა ნამუშევრებთან ერთად დაუბრუნოს სკოლებს.

§ 18.

მოსწავლეებს, რომელნიც გამოცდების პერიოდში ავად გახდებიან და მათ დამთავრებამდე გაჯანმრთელდებიან, საგამოცდო კომისიის ნებართვით შეუძლიათ ჩააბარონ, როგორც დარჩენილი, ასევე გამოტოვებული ყველა გამოცდა.

ამ მოსწავლეებთან წერიითი გამოცდების ჩასატარებლად სკოლებს სპეციალური სათადარიგო პაკეტით ეგზავნებათ თხზულებათა დამატებითი თემები, ამოცანა და მაგალითი გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში.

სათადარიგო პაკეტები წელს უნდა გაიხსნას: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში—15 ივნისს, გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში—16 ივნისს, ხოლო რუსულ ენასა და ლიტერატურაში (არარუსული სკოლები)—19 ივნისს.

დამატებითი წერიითი გამოცდა უნდა ჩატარდეს წერიითი გამოცდებისათვის დადგენილი ყველა წესის დაცვით და მას უშუა-

ლოდ ხელმძღვანელობს განათლების განყოფილების გამგე და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რაიონზე (ქალაქზე) მიმაგრებული წარმომადგენელი. დამატებითი გამოცდა რაიონის ცენტრში ტარდება.

V. ზეპირი გამოცდები

§ 19.

სიმწიფის ატესტატზე ზეპირი გამოცდები ტარდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ შედგენილი ბილეთებით, რომლებიც წინასწარ უნდა გაეცნოს მოსწავლეებს.

მშობლიურ ენასა და რუსულ ენაში გრამატიკულად გასარჩევ ტექსტებსა და მათემატიკაში ამოცანებსა და მაგალითებს ბილეთებისათვის ადგენს სათანადო საგნის მასწავლებელი და ამტკიცებს საგამოცდო კომისია. ეს დამატებითი მასალა მოსწავლეს მხოლოდ გამოცდის დროს უნდა გაეცნოს.

§ 20.

იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლეთა რიცხვი 25 აღემატება, — ზეპირი გამოცდისას კლასი ორ ჯგუფად იყოფა, მაგრამ გამოცდა ერთ დღეს ტარდება, ჯერ ერთ ჯგუფთან და შემდეგ მეორესთან. თითოეულ ჯგუფთან გამოყენებული უნდა იქნეს ბილეთების მთელი კომპლექტი.

ბილეთები, რომლებითაც გამოკითხული იქნენ მოსწავლეები, აღარ შეიძლება გამოყენებული იქნეს იმავე ჯგუფში.

§ 21.

მოსწავლენი დანიშნულ საათზე ცხადდებიან გამოცდებზე და გამოცდის ჩაბარებამდე რჩებიან საგამოცდო ოთახში.

შესვენებას, რომლის დროსაც დამსწრეებს შეუძლიათ გავიდნენ საგამოცდო ოთახიდან (იმათ გარდა, ვისაც ბილეთები აქვთ ხელზე), აწესებს კომისია თავისი შეხედულებით, ამასთან მოსწავლის გამოკითხვა არ წყდება.

§ 22.

მოსწავლე, რომელმაც ბილეთი აიღო, განცალკევებულ მერხზე ჯდება ან დაფასთან გადის. პასუხის მოსაფიქრებლად მას ეძლევა 10—15 წუთი.

§ 23.

ზეპირ გამოცდას, საგამოცდო კომისიის ყველა წევრთა თანდასწრებით, ატარებს კომისიის წევრი—საგამოცდო საგნის მასწავლებელი, თუ განათლების სამინისტროს წარმომადგენელი ან კომისიის თავმჯდომარე საჭიროდ არ ჩათვლიან გამოცდა თვითონ ჩაატარონ.

ბილეთზე პასუხის გაცემის შემდეგ, კომისიის წევრებს შეუძლიათ დამატებითი კითხვები მისცენ მოსწავლეს პროგრამის ფარგლებში, თუ ეს საჭიროდ მიაჩნიათ მისი ცოდნის შესახებ უფრო ზუსტი წარმოდგენის მისაღებად.

§ 24.

თუ მოსწავლე უხეშად არღვევს გამოცდების ჩატარების დადგენილ წესს,—კომისია დამნაშავეს უფლებას ართმევს განაგრძოს დაწყებული გამოცდები ამ წელს.

§ 25.

საგამოცდო კომისია ადგენს გამოცდების მიმდინარეობის ოქმს დაწესებული ფორმის მიხედვით.

ოქმს ხელს აწერს საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის ყველა წევრი.

VI. ცოდნის შემფასება

§ 26.

სიმწიფის ატესტატზე გამოცდების დროს შემოწმებული უნდა იქნეს, როგორც მოსწავლის ცოდნის სისრულე და სინტაქსი, ისე მოსწავლის აზროვნებისა და დამოუკიდებელი მსჯელობის, ცოდნის ცხოვრებაში გამოყენებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან დაკავშირების უნარი.

გამოცდების ჩატარების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენად იცის მოსწავლემ ის, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ყოველ საგანში და არა მისი ცალკეული წვრილმანები.

§ 27.

თითოეული წერთი გამოცდის დამთავრების შემდეგ ნამუშევარს ასწორებს, პირველ ყოვლისა, ამ საგნის მასწავლებელი—კო-

მისიის წევრი და შეცდომების შესახებ აკეთებს შენიშვნებს ქალაქ-
დის არეზე. შენიშვნები გაკეთებული უნდა იქნეს ყველა შეცდო-
მის შესახებ. ამასთან აუცილებლად უნდა იქნეს გასწორებული შე-
ვად ნაწერიც.

წერთი ნამუშევრების შემოწმების შემდეგ საგამოცდო კომი-
სიის მთელმა შემადგენლობამ უნდა განიხილოს დაწერილი ნიშნები,
დაადგინოს თითოეული ნამუშევრის საბოლოო შეფასება და შეი-
ტანოს ოქმში.

შენიშვნა: კომისიის წევრთა შორის აზრთა სხვადასხვა-
ობის შემთხვევაში საბოლოო შეფასების საკითხი ხმის უმრავ-
ლესობით წყდება, ამასთან, უმცირესობის აზრიც შეტანილი
უნდა იქნას ოქმში. თუ განათლების სამინისტროს წარმომად-
გენელი ან საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე კომისიის
უმრავლესობის აზრს არ ეთანხმება, მაშინ საქმეს საბოლოოდ
წყვეტს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ან შესა-
ბამისად აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტ-
როები, ანდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის გა-
ნათლების განყოფილება. ამასთან, მოსწავლის გამოცდა უნდა
გაგრძელდეს.

§ 28.

სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე მოსწავლეთა ცოდ-
ნის შეფასებას ახდენს საგამოცდო კომისია.

ატესტატში შესატანი შეფასების (ნიშნის) დადგენა საგანში
ხდება მოსწავლის მიერ გამოცდაზე მიღებული შეფასების (ნიშნის) სა-
ფუძველზე, წლიური შეფასების გათვალისწინებით. ისეთ შემ-
თხვევაში, როცა გამოცდაზე მოსწავლე „3“-ზე დაბალ შეფასე-
ბას ღებულობს, მას არ შეიძლება მიეცეს დამაკმაყოფილებელი
დასკვნითი შეფასება. საბოლოო შეფასება შეტანილი უნდა იქნეს
გამოცდის ოქმში.

შენიშვნა: ა) აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში მოს-
წავლის პასუხის შეფასების საკითხი იმავე წესით უნდა გადა-
წყდეს, როგორც წყდება წერთი ნამუშევრის შეფასებისას.

ბ) ენაში ნიშნების დაწერისას მხედველობაში უნდა იქნეს
მიღებული თხზულების ხარისხი ორთოგრაფიისა და სინტაქ-
სის მხრივ.

გ) წერასა და ზეპირში საერთო ნიშნის დადგენის წესის შესახებ იხილეთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებანი—„დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის მოსწავლეთა ცოდნისა და ყოფაქცევის შეფასებისას ხუთბალიანი ციფრობრივი სისტემის გამოყენების შესახებ“ (1950 წლის გამოცემა);

დ) ტრიგონომეტრიაში საბოლოო ნიშანი გამოიყენება წლიური და წერთი გამოცდის ნიშნების საფუძველზე.

§ 29.

ყველა იმ საგანში, რომელიც საგამოცდო არ არის (მსოფლიო ისტორია, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუცია, ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია და ასტრონომია) ატესტატში უნდა ჩაიწეროს მოსწავლის მიერ იმ კლასში მიღებული საბოლოო ნიშანი, სადაც ეს საგანი დამთავრდა.

მოსწავლეებს, რომელთაც მსოფლიო ისტორიაში, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციაში, ბუნებისმეტყველება-სა და გეოგრაფიაში აქვთ ნიშანი „3“ და „4“, პედაგოგიური საბჭოს ნებართვით, უფლება ეძლევათ დამატებით ჩააბარონ გამოცდები ამ საგნებში უფრო მაღალი შეფასების მიღების მიზნით. დამატებითი გამოცდების ჩაბარება სწარმოებს სასწავლო წლის მეორე ნახევარში, გამოცდების დაწყებამდე.

შენიშვნა: სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდების ბოლოს, უფრო მაღალი ნიშნის მიღების მიზნით, მოსწავლეს უფლება ეძლევა გადააბაროს აგრეთვე ასტრონომია.

VII. სკოლის დამთავრება, აბიტაბეზისა და მშდღევის მინიჭება და მათი გაცემის წესი

§ 30

გამოცდების დამთავრების შემდეგ სკოლის პედაგოგიური საბჭო, განათლების სამინისტროს წარმომადგენლისა და საგამოცდო კომისიის ყველა წევრის მონაწილეობით, წყვეტს საკითხს კურსდამთავრებულთათვის სიმწიფის ატესტატის მიცემის შესახებ. ამავე დროს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სამინისტროებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებებს ურდგენს ოქროსა და ვერცხლის მედალოსნობის კანდიდატებს.

აფხაზეთის და აქარის ასსრ სამინისტროები, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებები ოქროსა და ვერცხლის მედალოსნობის კანდიდატებს ურდგენენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მათი მედლით დაჯილდოების საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის.

შენიშვნა: მედლით დასაჯილდოებლად წარმოდგენილ პირთა სიას თან ერთვის მათი საგამოცდო წერიითი ნამუშევრები და სასწავლო წლის მეოთხედების მიხედვით აკადემიური წარმატების ნიშნები, შემოწმებული განათლების განყოფილების მიერ.

ეს ნამუშევრები რჩება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში ერთი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც განათლების განყოფილებათა მეშვეობით უბრუნდება სკოლას და ყველა იმ მოსწავლეთა ნამუშევრებთან ინახება, რომლებიც აბარებდნენ გამოცდებს სიმწიფის ატესტატზე.

§ 31.

სიმწიფის ატესტატის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც ატესტატში ჩასაწერ ყველა საგანში „3“-ზე ნაკლები ნიშანი არ აქვთ.

ოქროს მედლით დაჯილდოვდებიან ის მოსწავლეები, რომლებიც გამოცდებზე ყველა საგანში მიიღებენ საბოლოო შეფასებას „5“-ს, ნიშანს „5“ აქვთ აგრეთვე სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დანარჩენ საგნებში და მასთან სამაგალითო ყოფაქცევისანი არიან.

ვერცხლის მედლით დაჯილდოვდებიან საუკეთესო ყოფაქცევის ის მოსწავლენი, რომლებიც სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა ძირითად საგანში მიიღებენ დასკვნით შეფასებას „5“-ს, გარდა სამი საგნისა, რომლებშიც მათ შეიძლება ჰქონდეთ შეფასება არა ნაკლებ „4“-სა; ამ სამი საგნის რიცხვში არ შეიძლება შედიოდეს მშობლიური და რუსული ენები;

ვერცხლის მედლით დაჯილდოვდებიან აგრეთვე საუკეთესო ყოფაქცევის ის მოსწავლენი, რომლებიც სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა ძირითად საგანში მიიღებენ დასკვნით შეფასებას „5“ და ნიშანი „4“ ექნებათ: ა) ქართულ სკოლებში—მხოლოდ ქართულ და რუსულ ენებში, ბ) რუსულ სკოლებში—მხოლოდ რუსულ და ქართულ ენებში, გ) სომხურ სკოლებში—სომხურ, რუსულ და ქართულ ენებში, დ) აზერბაიჯანულ სკოლებში—აზერბაიჯანულ, რუსულ და ქართულ ენებში.

შენიშვნა: ა) დაბალი შეფასება სიმღერასა, ხატვასა, ხაზვასა და ფიზიკურ მომზადებაში მედლით დაჯილდოებაზე მოსწავლეს ხელს არ შეუშლის;

ბ) მოსწავლეს, რომელსაც საშემოდგომო გამოცდა ჰქონდა მიტეხული, არ შეიძლება მიეცეს მედალი.

ოქროსა და ვერხლის მედლით დაჯილდოებულ პირთ განსაკუთრებული ნიშნის სიმწიფის ატესტატი ეძლევათ.

§ 32.

ყოფაქცევაში ნიშანი „5“ მქონე მოსწავლეები, რომელნიც აკადემიური ჩამორჩენილობის გამო არ იქნენ დაშვებულნი სიმწიფის ატესტატზე მისაღებ გამოცდაზე ან დაშვებულნი იქნენ, მაგრამ გამოცდა ვერ ჩააბარეს და ჩაიკრენ ორზე მეტ საგანში, და აგრეთვე ის მოსწავლენი, რომელნიც საშემოდგომო გამოცდაზე ჩაიკრენ თუნდაც ერთ საგანში, — სკოლიდან გადიან. მათ ეძლევათ მოწმობა სკოლაში სწავლის შესახებ, სადაც აღნიშნული უნდა იქნეს ყველა სასწავლო საგანსა და ყოფაქცევაში მიღებული წლიური შეფასება.

პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით ასეთ მოსწავლეებს უფლება ეძლევათ მომდევნო სასწავლო წელს ჩააბარონ გამოცდები სიმწიფის ატესტატზე იმავე სკოლაში. ისინი სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან გამოცდების წინასწარ ჩაბარების შემდეგ იმ საგნებში, რომლებშიაც ჰქონდათ „3“-ზე ნაკლები ნიშანი ან „3“-ზე ნაკლები შეფასება მიიღეს გამოცდებზე.

წინასწარი გამოცდები ტარდება სასწავლო წლის მესამე მეოთხედის ბოლოს, საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში, კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდებისათვის არსებული ყველა წესის დაცვით.

შენიშვნა: მოსწავლეებს, რომლებიც არ იქნენ დაშვებულნი გამოცდებზე ცუდი ყოფაქცევის გამო, სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩაბარება შეუძლიათ მხოლოდ შემდეგ წლებში ექსტერნატის წესით.

§ 33.

XI კლასში შეიძლება დატოვებულ იქნენ მოსწავლენი, რომლებმაც ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის გამო ვერ მოიპოვეს სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდაზე გასვლის უფლება.

შენიშვნა: ა) მოსწავლის ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სათანადო სამეურნალო დაწესებულებების საექიმო კომისიის მიერ;

ბ) XI კლასში მოსწავლის დატოვების საკითხს, სკოლის პედაგოგიური საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, წყვეტს რაიონის, ქალაქის, განათლების განყოფილება.

საქართველოს
საბჭოთაო
საგარეო
აღმართობის
საგარეო
საინფორმაციო
სამსახური

§ 34.

მე-11 კლასის მოსწავლენი, რომელთაც ავადმყოფობის გამო არ შეუძლიათ გასვლა სიმწიფის ატესტატის გამოცდების ჩასაბარებლად, — გამოცდებზე დაიშვებიან შემდეგ წელს საერთო წესის მიხედვით იმ მოსწავლეებთან ერთად, რომელნიც სკოლას ამთავრებენ.

ეს მოსწავლეები შეიძლება დატოვებულ იქნან მე-11 კლასში მეორე წელს იმავე წესით, რაც გათვალისწინებულია ამ ინსტრუქციის § 33-ის შენიშვნაში.

გამონაკლის შემთხვევაში, მოსწავლეები, რომელთაც ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის გამო არ შეუძლიათ მთლიანად ან ნაწილობრივ ჩააბარონ გამოცდები სიმწიფის ატესტატზე, — აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ავტონომიური რესპუბლიკების განათლების მინისტრების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. თბილისის, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა შუამდგომლობის საფუძველზე შეიძლება განთავისუფლებული იქნენ გამოცდებისაგან, მხოლოდ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის განსაკუთრებული განკარგულებით, იმ პირობით, თუ მათ წლის ყველა მეოთხედში XI კლასის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში ჰქონდათ შეფასება არა ნაკლებ „3“-სა. ასეთ შემთხვევაში სიმწიფის ატესტატი უნდა გაიცეს წლიური შეფასების (ნიშნების) საფუძველზე.

შენიშვნა: უგამოცდოდ სიმწიფის ატესტატის გაცემის საკითხის განხილვა ხდება დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, რასაც თანდართული უნდა ჰქონდეს სამკურნალო დაწესებულების საექიმო კომისიის დასკვნა, პედაგოგიური საბჭოს დადგენილება და მოსწავლის დახასიათება.

§ 35.

სიმწიფის ატესტატებსა და მედლებს აძლევს სკოლის დირექტორი საზეიმო აქტზე.

საზეიმო აქტს ესწრება ყველა, ვინც ატესტატს იღებს და პედაგოგიური საბჭოს მთელი შემადგენლობა.

საზეიმო აქტზე მოწვეული უნდა იქნენ სახალხო განათლების ორგანოებისა, საბჭოთა, პარტიული და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი, მშობლები ან მათ მაგიერი პირნი და უფროსი კლასების მოსწავლენი.



სიმწიფის ატესტატზე გამოცდების დამთავრების შემდეგ, არა უგვიანეს 25 ივნისისა, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ადგენს ჩატარებული მუშაობის ანგარიშს შემდეგი სქემის მიხედვით:

1. ქალაქი, რაიონი, სკოლის სრული სახელწოდება.

2. ამ სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეთა საერთო რიცხვი გამოცდების დაწყებამდე, მათგან გამოცდაზე დაშვებულთა რაოდენობა;

იმ საშუალო სკოლების სრული სახელწოდება, რომლებიც მიმაგრებული იყვნენ ამ სკოლაზე გამოცდების ჩასაბარებლად, მე-11 კლასების მოსწავლეთა რიცხვი ამ სკოლებში ცალ-ცალკე გამოცდების დაწყებამდე და გამოცდებზე დაშვებულთა რიცხვი;

რამდენი მოსწავლე გავიდა გამოცდებზე მთლიანად, რამდენმა ვერ ჩააბარა გამოცდები და რა მიზეზით (დატოვა გამოცდები ავადმყოფობის გამო, ჩაიჭრა), რამდენს მიეცა საშემოდგომო გამოცდა და რომელ საგანში (სკოლის აღნიშვნით), აღარ იქნა დაშვებული გამოცდებზე დისციპლინის უხეშად დარღვევის გამო;

რამდენმა ჩააბარა გამოცდა სულ, მათ შორის ამ სკოლიდან, სხვადასხვა სკოლებიდან (მითითებული იქნეს ცალ-ცალკე სკოლის სრული სახელწოდება);

გამოცდაჩაბარებულთა შორის რამდენია ოქროს მედალოსნობის კანდიდატი და რომელი სკოლიდან, თითოეული მათგანის გვარი, სახელი და მამის სახელი;

გამოცდაჩაბარებულთა შორის რამდენია ვერცხლის მედალოსნობის კანდიდატი და რომელი სკოლიდან, თითოეული მათგანის გვარი, სახელი, მამის სახელი.

3. როგორი პირობები იყო შექმნილი სკოლაში გამოცდების ჩასატარებლად (გამოცდებისათვის მზადება, საგამოცდო ცხრილი, სასწავლო ნივთები და ხელსაწყოები, ბინა და სხვა).

4. როგორი მომზადება გამოიჩინეს მოსწავლეებმა ცალკე საგამოცდო დისციპლინების მიხედვით (კონკრეტულად უნდა იქნეს აღნიშნული, თუ საგნის რომელი განყოფილება იცოდნენ კარგად და რომელი ცუდად).

ანგარიში დგება სამ ცალად, ერთი ცალი რჩება სკოლაში, მეორე ცალი ეგზავნება განათლების განყოფილებას, ხოლო მესამე ცალი კი ოქმთან ერთად—განათლების სამინისტროს.

§ 37.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება ადგენენ ანგარიშს § 36 გათვალისწინებული სქემის მიხედვით ასსრესპუბლიკაში, ოლქში, სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩატარების შესახებ და უგზავნიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს არა უგვიანეს 5 ივლისისა.

§ 38.

სკოლის დირექტორმა გამოცდების დაწყებამდე უნდა გააცნოს ეს ინსტრუქცია სკოლის პედაგოგიური საბჭოს ყველა წევრს, აგრეთვე მოსწავლეებს. იმ ნაწილში, რომელიც მათ ეხებათ.

§ 39.

გადასაყვანი და დამამთავრებელი გამოცდების ორგანიზაციისა და ჩატარების შესახებ რაიმე ადგილობრივი ინსტრუქციის გამოცემა აკრძალულია.

კატეგორიულად აკრძალულია აგრეთვე სკოლის დირექტორებისაგან (გამგებებისაგან) გამოცდების შესახებ რაიმე ცნობების მოთხოვნა, რომელიც დაწესებული არ არის სტატისტიკური ანგარიშგებით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწესებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსი უშ. მ. ბ. მ. ლაძე



ი ნ ს ტ რ უ ძ ც ი ა

სიმწიფის ატესტატზე გამოცდების მქსტირნად ჩაბარების შესახებ

§ 1.

ექსტერნის წესით სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან 18 წელზე მეტი ასაკის მუშა-მოსამსახურეები, რომელთაც საშუალო სკოლა არ დაუმთავრებიათ საპატიო მიზეზით, სკოლისათვის თავი მიუხეობებიათ ერთი და მეტი წლის წინათ, სურვილი აქვთ მიიღონ საშუალო განათლება და მოიპოვონ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება.

გამოცდებზე ექსტერნად დაშვების საკითხს თითოეული განმცხადებლის შესახებ ინდივიდუალურად წყვეტს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია. გამოცდაზე დაშვების საკითხი განიხილება 20-დან 30 აპრილამდე და გადაწყვეტილება მთხოვნელებს ეცნობება 15 დღით ადრე გამოცდების დაწყებამდე.

შენიშვნა: ექსტერნის წესით სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე არ შეიძლება დაშვებულ იქნას ის პირნი, რომელთაც შეუსრულდათ 18 წელი, მაგრამ სწავლობენ საშუალო სკოლების IX, X, XI კლასებში ან სპეციალური ტექნიკუმებისა და სასწავლებლების I, II, III და IV კურსებზე.

§ 2.

ექსტერნები სიმწიფის ატესტატზე გამოცდებს აბარებენ ქალთბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და სტალინირში, იმ საშუალო სკოლებში, რომლებსაც საამისოდ გამოჰყოფს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

§ 3.

იმ პირებმა, რომელთაც სურთ ექსტერნად ჩააბარონ გამოცდები სიმწიფის ატესტატზე, ამის შესახებ განცხადება უნდა შეიტანონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში არა უგვიანეს

10 აპრილისა. განცხადებას თან უნდა ჰქონდეს დართული— ა) ავტობიოგრაფია, ბ) დაბადების მოწმობა, გ) მოწმობა ან ცნობა განათლების შესახებ, დ) სათანადო ცნობა განათლების განყოფილებიდან ან სამსახურის ადგილიდან იმის შესახებ, რომ განმცხადებელი ერთ წელზე მეტია, რაც საპატიო მიზეზის გამო სკოლაში არ სწავლობს, ე) ორი ფოტოსურათი.

საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, განათლების სამინისტრო სათანადო ქალაქის განათლების განყოფილებასა და განმცხადებელს უგზავნის ნებართვას გამოცდებზე დაშვების შესახებ ქალაქის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში.

§ 4.

ექსტერნები გამოცდებს აბარებენ 20 მაისიდან. გამოცდების ჩაბარება წარმოებს მე-11 კლასის მოსწავლეებთან ერთად, ერთსა და იმავე საგამოცდო კომისიებში.

§ 5.

ექსტერნი, რომელიც გამოცდების დაწყებისთანავე არ გამოცხადდა, ამ წელს გამოცდების ჩაბარების უფლებას ჰკარგავს.

§ 6.

ექსტერნები გამოცდებს აბარებენ სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩატარების შესახებ არსებული საერთო ინსტრუქციის § 5-ით გათვალისწინებულ ყველა საგანში.

გარდა ამისა, ძირითადი გამოცდების დამთავრების შემდეგ, 30 ივნისამდე აბარებენ დამატებით ზეპირ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

ა) სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციაში, ბ) ბუნებისმეტყველებაში (ერთი გამოცდა, რომელიც შეიცავს ცოდნის შემოწმებას ბოტანიკასა, ზოოლოგიასა, ადამიანის ანატომიო-ფიზიოლოგიასა და დარვინიზმის საფუძვლებში), გ) მსოფლიო ისტორიაში (ძველს, შუა საუკუნეების და ახალ ისტორიაში), დ) გეოგრაფიაში (ერთი გამოცდა, რომელიც შეიცავს ცოდნის შემოწმებას ფიზიკურ გეოგრაფიაში, ქვეყნის ნაწილების ფიზიკურ-გეოგრაფიულ მიმოხილვაში, სსრ კავშირის ფიზიკურ და ეკონომიურ გეოგრაფიაში, საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიურ გეოგრაფიაში, და ე) ასტრონომიაში.

შენიშვნა: დამატებით გამოცდებისაგან განთავისუფლებიან ის ექსტერნები, რომელნიც წარმოადგენენ საბუთის იმის შესახებ, რომ მათ „3“-ზე ნაკლები ნიშანი არა აქვთ მიღებული წლის ბოლოს ამ საგნებში და მის შემდეგ წელს ზე მეტი არაა გასული.

§ 7.

ყველა წერითი და ზეპირი გამოცდის ჩატარების წესი, ექსტერნების ცოდნისადმი წარსადგენი მოთხოვნები, აგრეთვე მათი ზეპირი პასუხებისა და წერითი საგამოცდო ნამუშევრის შეფასება სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩატარების შესახებ არსებული საერთო ინსტრუქციით განისაზღვრება.

§ 8.

სიმწიფის ატესტატში, რომლებიც ექსტერნებს ეძლევათ, იწერება სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა იმ საგანში მიღებული ნიშნები, რომლებშიც სწარმოებს გამოცდები ექსტერნებისათვის.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ექსტერნი დამატებითი გამოცდებისაგან განთავისუფლებულია ამ ინსტრუქციის § 6-ის თანახმად, სიმწიფის ატესტატში ნიშნები ამ საგნებში შეტანილი უნდა იქნას ექსტერნის მიერ განათლების შესახებ წარმოდგენილი საბუთის საფუძველზე.

§ 9.

ექსტერნისათვის სიმწიფის ატესტატის მინიჭების საკითხს საბოლოოდ წყვეტს იმ სკოლის პედაგოგიური საბჭო, სადაც ექსტერნმა გამოცდა ჩააბარა.

§ 10.

სიმწიფის ატესტატი მხოლოდ იმ ექსტერნებს ეძლევათ, რომელთაც სიმწიფის ატესტატში შესატან ყველა საგანში „3“-ზე დაბალი ნიშანი არ აქვთ. ექსტერნს, რომელიც ყველა გამოცდას ჩააბარებს, საერთო ნიშუის სიმწიფის ატესტატი ეძლევა აღნიშვნით, რომ მან ექსტერნად ჩააბარა გამოცდები.

§ 11.

ექსტერნს, რომელმაც თუნდაც ერთ საგანში ვერ ჩააბარა გამოცდა, არავითარი საბუთი არ ეძლევა.

§ 12.

ექსტერნებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ოქროსა და ვერცხლის მედლის კანდიდატათვის საერთო ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ეძლევათ განსაკუთრებული ატესტატი და სარგებლობენ უმაღლეს სასწავლებელში უგამოცდოდ შესვლის უფლებით (იხ. ინსტრუქცია სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩატარების შესახებ § 31).

§ 13.

ის პირნი, რომელთაც სიმწიფის ატესტატზე გამოცდები ექსტერნის წესით ჩააბარეს, მედლებით არ ჯილდოვდებიან.

§ 14.

იმ პირთა სიმწიფის ატესტატები, რომელთაც ექსტერნად ჩააბარეს გამოცდები, სკოლის სიმწიფის ატესტატების ჩასაწერ წიგნში ტარდება.

**საქართველოს ხსრ განათლების სამინისტროს
დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსი უზ. ობოლაძე**



УТВЕРЖДЕНО

Министерством просвещения
Грузинской ССР
7 марта 1950 года

И Н С Т Р У К Ц И Я

О ПРОВЕДЕНИИ ЭКЗАМЕНОВ НА АТТЕСТАТ ЗРЕЛОСТИ

1. Общие положения

§ 1.

Экзамены на аттестат зрелости проводятся на основе „Положения о переводных и выпускных экзаменах в начальной, семилетней и средней школах и экзаменах на аттестат зрелости“, утвержденного Советом Министров Союза ССР 21 февраля 1950 года.

Целью экзаменов является выяснить, насколько полно и прочно овладели учащиеся курсом средней школы.

§ 2.

К экзаменам на аттестат зрелости допускаются:

а) учащиеся XI классов, имеющие по всем учебным предметам годовую оценку не ниже „3“, независимо от оценок по рисованию, черчению, пению, [REDACTED] физической подготовке, и по поведению—оценку „5“;

б) лица в возрасте старше 18 лет, не обучавшиеся в средней школе или не закончившие ее, но желающие получить аттестат зрелости в порядке экстерната.

Примечание: а) Педагогическому совету школы предоставляется право в отдельных уважительных случаях допускать к экзаменам на аттестат зрелости учащихся, имеющих не более чем по двум основным предметам учебного плана оценки ниже „3“ при оценке по поведению „5“. По этим предметам учащиеся держат экзамены осенью;

